„დინამო“ (თბილისი) – „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) – 0:2 (0:0)

თბილისი. 11 ივნისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი.

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, კუდინოვი (შენგელია, 60), ჟორდანია (ცაავა, 70), ცვეიბა, სულაქველიძე, ჟვანია, გურული, ქეცბაია.

„დნეპრი“: გოროდოვი, ბაშკიროვი, ვიშნევსკი, ჩერედნიკი, სოროკალეტი, შახოვი (პუჩკოვი, 46), ტიშჩენკო, ლიტოვჩენკო, შოხი, პროტასოვი, ლიუტი (ტარანი, 84).

მსაჯი ა. კირილოვი (მოსკოვი).

გააფრთხილეს სულაქველიძე და ლიტოვჩენკო.

ლაპარაკი იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ მატჩს თბილისის „დინამოსთვის“, ზედმეტია. ეს ყველასთვის ცხადი და ნათელია და მით უფრო სამწუხაროა, რომ თბილისელებმა ვერ შეძლეს სასურველი შედეგის მიღწევა.

დინამოელთ თამაშში, პირველ რიგში ფეხბურთელთა მეტისმეტად ზედმეტი ინდივიდუალური მოქმედებები უნდა აღინიშნოს, რაც დიდ ზიანს აყენებს მთლიანად კოლექტივს. ასეთ ინდივიდუალისტთა წინააღმდეგ თამაში მეტოქე გუნდის მცველებისთვისაც გაცილებით იოლია, გარდა ამისა, დინამოელები მეტწილად წინდაუხედავად და საკუთარი კარის უსაფრთხოების საზიანოდ მიდიან შეტევაში, რითაც მეტოქეს სწრაფი კონტრშეტევის განხორციელების საშუალებას უქმნიან. დაუმატეთ ამას დაცვის ხშირი შეცდომებიც. ორივე გოლი ჩვენი გუნდის კარში მცველთ უხეირო გადაადგილების შედეგი გახდა. ბურთები მეორე ტაიმში გაიტანეს ლიუტიმ და პროტასოვმა.

ერთი სიტყვით, ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი შეხვედრა თბილისელებმა პირწმინდად წააგეს. „დნეპრმა“ სოლიდური თმაში უჩვენა თბილისელ მაყურებელს და ჩვენი აზრით, ორი ქულაც დამსახურებულად ჩაიწერა გათამაშების ცხრილში.

ლელო 13.06.1987

დუბლიორთა მატჩი

გუშინ უმაღლესი ლიგის დუბლიორთა საკავშირო გათამაშების მატჩში თბილისის „დინამომ“ უმასპინძლა დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“.

მატჩი დამთავრდა „დნეპრის“ გამარჯვებით - 3:1.

თბილისელთაგან ბურთი გაიტანა ცაავამ.

დინამოელთა რიგებში ამ დღეს გამოდიოდნენ: მუხაშავრია, ფირცხალავა, თეთრაძე, წიკლაური (ფიფია), მალანია, აფციაური, სვანაძე, კორღალიძე (ავსაჯანიშვილი), ჯიშკარიანი, ცაავა, მიქაშავიძე.

ლელო 2.06.1987